მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება N18

სოფ.ბიწმენდი 15 დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ბიწმენდის--საჯარო სკოლის (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინელი მამულაშვილი სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს."მათე"დირექტორის ვახა გოგიბერიშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია-გაუშლელი დიზანი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს აღწერა მოცემულია დეფექტულურ აქტში დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 300 ლარს(სამასი ლარი) და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გამოწერის შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ,ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნული ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.5. მიმწოდებლის ,მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი ანგარისშწორების (ავანსის) გამოყენება, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წარმოდგენილი იქნება გარანტია (ბანკი ან სადაზღვევო კომპანია).- სავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის სამუშაოთა მოცულობის შესრულების შემდეგ; შემსყიდველის თანხმობით საბანკო გარანტია უქმდება. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებლს საბოლოო ვადას.

3.6. მიმწოდებლისთვის გადახდილი ავანსი ჩაითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო თანხის ანგარიშში.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - მცხეთა, სოფელი ბიწმენდი

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები წარმოქმნილი ხარჯების გასტუმრებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმული დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება დანართ №1-ში გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით;

დ) უზრუნველყოს სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალების, აღჭურვილობისა და მექანიზმების მიწოდება საკუთარი შესაძლებლობებითა და რესურსებით;

ე) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები;

ვ) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო ნაგვისაგან, ნარჩენი მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ; პერიოდების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ბიწმენდის საჯარო სკოლის დირექტორი ნინელი მამულაშვილი

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მიმენჭისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც წაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, სათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

11.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად თითოეული მხარისათვის.

13.2 არც ერთი მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მიმწოდებელი (შემსრულებელი):	შემსყიდველი ორგანიზაცია:
სახელი გვარი: კახა გოგობერიშვილი	დირექტორი : ნინელი მამულაშვილი
მისამართი: თბილისი,თ.ერისთავის N5	ბიწმენდის საჯარო სკოლა
საბანკო რეკვიზიტები :	მცხეთა, ბიწმენდი
ბანკის კოდი BAGAGE22	ბანკის კოდი LBRTGE22
ს/ნ GE45BG0000000304783700	ს/ნ GE97LB0121110416361000
ს/კ 439392756	ს/კ 236087694

5. [illegible]

6. [illegible]

დანართი № 1

1 გაფუჭებული დივანი-300 ლარი (სამასი ლარი)

მიღება - ჩაბარების აქტი N18

სოფ.ბიწმენდი 16 დეკემბერი 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ შ.პ.ს „მათე"-ს დირექტორის კახა გოგობერიშვილის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში - შემსყიდველი), წარმომადგენელი, მისი დირექტორის ნინელი მამულაშვილის სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2014 წლის 15 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება N18 ის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო გაუშლელი დივანი რომლის ღირებულება შეადგენს 300 ლარს(სამას ლარს).

ზემოაღნიშნულს ვეთანხმებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიმწოდებელი (შემსრულებელი):	შემსყიდველი ორგანიზაცია:
სახელი გვარი: კახა გოგობერიშვილი მისამართი: თბილისი,თ.ერისთავის N5 საბანკო რეკვიზიტები : ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ნ GE45BG0000000304783700 ს/კ 439392756	დირექტორი : ნინელი მამულაშვილი ბიწმენდის საჯარო სკოლა მცხეთა, ბიწმენდი ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ნ GE97LB0121110416361000 ს/კ 236087694 ნ. მამულაშვილი

კომპანია: შპს „მათე“

საიდენტიფიკაციო კოდი: 439392756

კლიენტის სახელი და გვარი: [illegible]

#	დასახელება/მოდელი	ფასი
1	[illegible]	300 [illegible]
2		
3		
4		
5		
	sul [illegible]	

ხელმოწერა (მაღაზია)

ხელმოწერა (კლიენტი)

თარიღი: 12.12.2016 წ.